**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –**
**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

---

**ქ.ბათუმი** **25 ნოემბერი, 2013 წელი**

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/65**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-სათვის ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ**

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, 39-ე მუხლის I პუნქტისა და ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ქართული კულტურის განვითარების, ეროვნული ცნობიერების განმტკიცებისა და ქრისტიანული სულიერების ამაღლებაში შეტანილი განსაკუთრებიული წვლილისათვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს მიენიჭოს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**აკადემიური საბჭოს**
**თავმჯდომარე** **ე. მესხია**